ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ68. 68260267**

თარიღი:**26/01/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 იანვრის N ბ68.68260233 ბრძანებაში - ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ'' - დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 იანვრის N ბ68.68260233 ბრძანებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ'' - მეოთხე პუნქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა გასწორდეს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ყოველდღე, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, 2026 წლის 10 თებერვლის ჩათვლით, აგრეთვე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: kharagauliinfra@gmail.com'';

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მის: დ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ.N48).

კობა ლურსმანაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/